ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N18

ქ.თბილისი

4 მაისი, 2018 წელი
16⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი

რამინა ბერაძე

გიორგი გაბაშვილი

ოთარ გრიგოლია

ბექა დავითულიანი

ლევან დარახველიძე

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი

ლილე ლიპარტელიანი

თინათინ ნიბლოშვილი

ელენე ოზაშვილი

დათო ქღენტი

რევაზ სოხაძე

დავით უთმელიძე

თარაშ შურღაია

ავთანდილ ცინცაძე

დავით ჭელიძე

ალექსანდრე ხუჯაძე

ილია ჯიშკარიანი

ქეთევან ჯოხაძე

ჯაბა ჯიშკარიანი

ლევან არველაძე

გიორგი ბირბიჩაძე

გულია გოცირიძე

ლევან დავითაშვილი

მარინა დათუკიშვილი

გიორგი დოხტურიშვილი

ირაკლი ზარქუა

ერეკლე კუხიანიძე

ნინო ლაცაბიძე

ქეთევან მამულაშვილი

ირაკლი ნადირაძე

შალვა ოგბაიძე

ლევან ჟორჟოლიანი

დათო რურუა

თამარ ტალიაშვილი

გიორგი ჩაკვეტაძე

ვლადიმერ ძნელაძე

ლევან ხაბეიშვილი

ლევან ჯაფარიძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ნინო ლომინაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი რუსუდან მირზიკაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი თამარ კაციტაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი კახაბერ გულედანი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან ისაუბრა, რამდენიმე თვის წინ, პუშკინის სკვერის მიმდებარედ, მიწისქვეშა პარკინგის მოსაწყობად გადაცემულ მიწის ნაკვეთზე და აღნიშნა, რომ ოპოზიციის მხრიდან მაშინ გაკეთებული განცხადებები იყო მათი „პოლიტიკური დღის წესრიგი", რადგან საკითხი ეხებოდა თანაინვესტირების ფონდს. დღევანდელ სხდომაზე წარმოდგენილი სამი საკითხი, რომელიც ეხება მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მოწყობას კონკრეტულ ლოკაციებზე, იმის ნათელი მაგალითია, რომ ზემოთხსენებულ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება სწორედ რომ ორიენტირებულია მოსახლეობის და ქალაქისთვის მნიშვნელოვანი საქმის კეთებაზე.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ დღევანდელ სხდომაზე წარმოდგენილი სამი საკითხი, რომელიც ეხება მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მოწყობას, განხილული და მხარდაჭერილი იქნა ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, რადგან ეს არის ყველაზე ოპტიმალური მოდელი, სადაც შეიძლება შეჯერდეს კერძო და საჯარო სექტორი და განახორციელოს დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი პროექტი. მისი თქმით, ოპოზიციის წარმომადგენლები, ის ორგანიზაციები და ადამიანები, რომლებიც აპროტესტებდნენ პუშკინის სკვერის მიმდებარედ მიწის ნაკვეთის გადაცემას იგივე მიზნით, დღეს განსახილველ პროექტებზე იმიტომ არაფერს ამბობენ, რომ მათ ინტერესში შედის მხოლოდ ისეთი საკითხები, რომლებიც უკავშირდება თანაინვესტირების ფონდს ან ბიძინა ივანიშვილის სახელს. არ აქვს მნიშვნელობა საკითხი ქალაქისთვის მნიშვნელოვანია თუ არა, მათთვის მთავარია საზოგადოება შეიყვანოს შეცდომაში და „დახატონ აპოკალიფსი".

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ დღეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ორ მოქმედ და ერთ ყოფილ თანამშრომელს ბრალი წაუყენეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის გამოყოფილი თანხების მიტაცებისთვის და გაიხსენა რამდენიმე ფაქტი, როდესაც ოპოზიცია უმრავლესობის წევრებს მიუთითებდა კორუფციული გარიგებების ნიშნებზე და მოუწოდებდა ჰქონოდათ შესაბამისი რეაგირება. მათ შორის იყო ისიც, რომ რამდენიმე კვირის წინ ოპოზიციის წარმომადგენლები მოითხოვდნენ დროებით მაინც, გამოძიების დასრულებამდე, ზემოთხსენებული სამსახურის უფროსს შეჩერებოდა უფლებამოსილება, თუმცა, მათი მოწოდება არავინ გაითვალისწინა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესდა, არის თუ არა ეს ფაქტი იმის საფუძველი, რომ გელა ჩივიაშვილმა დატოვოს თანამდებობა და მოუწოდა საკრებულო წევრებს დააფიქსირონ პოზიცია, რომ ეს ადამიანი არ შეიძლება იყოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი. ლევან ხაბეიშვილმა ისაუბრა მე-6 საბავშვო ბაღზე, სადაც, მისი თქმით, „ნიავდება სახელმწიფო ქონება და ამაზე პასუხისმგებელი არავინ არის" და დაინტერესდა, უნდა დადგეს თუ არა შესაბამისი პირების პასუხისმგებლობის საკითხი. ლევან ხაბეიშვილმა ასევე, ისაუბრა ქალაქში არსებულ ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, რომელიც ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებადაა გამოცხადებული, თუმცა ამის პარალელურად „კაკლების უბანში სრული კატასტროფაა", რაც გამოიხატება იმაში, რომ ხევში ჰყრიან ტონობით ნაგავს და არც ამაზეა ვინმე პასუხისმგებელი.

ჯაბა ჯიშკარიანმა განაცხადა, რომ დღეს, ქალაქისთვის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია საპარკინგე პრობლემის მოგვარება, რომ მოსახლეობას ჰქონდეს კომფორტულად გადაადგილების საშუალება და სწორედ ამ მიზნის განხორციელებისკენ არის მიმართული საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოდგილი მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის საკითხები. ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ცდილობს თემა შეცვალოს, რომ საზოგადოებამ არ დაინახოს ის სასიკეთო საქმე, რომელიც კეთდება ქალაქისთვის. მისი თქმით, ოპოზიციის წარმომადგენლები არაფერს ამბობენ იმაზე რომ, ამა თუ იმ კომპანიას, საინვესტიციო ვალდებულებით, სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად გადაეცემა მიწის ნაკვეთი, ხოლო თუ იგივეს აკეთებს ბიძინა ივანიშვილი, ამას აპროტესტებენ, რაც, ჯაბა ჯიშკარიანის თქმით, არის ორმაგი სტანდარტი და დესტრუქცია.

მარინა დათუკიშვილმა აღნიშნა, რომ 2015 წელს საკრებულოს განკარგულებით დამტკიცდა სახელდების წესები და მასში გაწერილია, თუ რით უნდა იხელმძღვანელო ამა თუ იმ მოედნისთვის ან ქუჩისთვის სახელის მინიჭების, აღდგენის თუ გადარქმევის შემთხვევებში. როდესაც საუბარია იმაზე, რომ საკრებულოს ინიცირებით ვარდების მოედანს მიენიჭოს პირველი რესპუბლიკის სახელი, საიტერესოა, ზემოხსენებული წესის რომელი მუხლის და პუნქტის მიხედვით გაკეთდა ინიცირება, რადგან საკრებულოს ამ საკითხზე არ უმსჯელია, ხოლო სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს ინიცირება დააყენოს არა საკრებულოს, არამედ კომისიის ან ფრაქციის სახელით. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს განკარგულება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია, აუცილებლად საჭიროა განმარტება და დასაბუთება, თუ რატომ ხდება სახელის ცვლილება, რაც არ არის საკითხთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაში. მან მიმართა გიორგი ტყემალაძეს, უზრუნველყოს ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა მასალის მიწოდება, რადგან დღეს არსებული დოკუმენტაციით შეუძლებელია ასეთი ცვლილების განხორციელება.

თინათინ ნიბლოშვილმა განაცხადა, რომ მარინა დათუკიშვილს ვარდების მოედნისთვის პირველი რესპუბლიკის სახელის მინიჭების საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მოთხოვნით მისთვის არ მიუმართავს, თუმცა ეს მოთხოვნა ჰქონდა ლილე ლიპარტელიანს და მასთან ყველა მასალა გადაგზავნილია.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა განაცხადა, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიები როცა რუსეთის მხრიდან ოკუპირებულია, დედაქალაქში არსებობს მოსკოვის გამზირი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლების ინიციატივის მიუხედავად, რომ გამზირს მიენიჭოს საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლი გმირის, არჩილ ტატუნაშვილის სახელი, ამ მიმართულებით არაფერი კეთდება. ამის პარალელურად, „ქართულ ოცნებას" სურს წაშალოს საქართველოს უახლესი ისტორიის ღირშესანიშნავი მოვლენის „ვარდების რევოლუციის" სახელობის მოედანი, რაც არის ჯანსაღი პოლიტიკის არქონა. ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა ასევე, ისაუბრა მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობაზე და აღნიშნა, რომ იდეა, რა თქმა უნდა, კარგია, თუმცა საკითხი ქალაქგეგმარებითად საბოლოოდ განხილული არ არის, გათვლილი არ არის ეკონომიკური მაჩვენებლები, მერიას არ მოუფიქრებია, რა უნდა მიიღოს ამ პროექტისგან და შედეგიც გაურკვეველია. მისი თქმით, არასწორია დღეს წარმოდგენილი პარკინგის მოწყობის პროექტების პუშკინის სკვერის მიმდებარედ, იგივე მიზნით, მიწის ნაკვეთის გადაცემის საკითხთან დაკავშირება, რადგან ეს უკანასკნელი არის კერძო სასტუმროს მიმდებარე ტერიტორია და საზოგადოებრივი სარგებლობისთვის დარჩება თუ არა ავტოსადგომი, გაურკვეველია.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ პუშკინის სკვერის მიმდებარედ, მიწისქვეშა პარკინგის მოსაწყობად, მიწის ნაკვეთის გადაცემის საკითხის განხილვისას ოპოზიციონერი კოლეგების მხრიდან გაკეთებული განცხადებები და მათ მიერ დღეს წარმოდგენილი მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობასთნ დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები, აშკარა დადასტურებაა იმისა, რომ მათ პრობლემა აქვთ არა საკითხის შინაარსთან, არამედ კონკრეტულ პიროვნებასთან და თანაინვესტირების ფონდთან.

ლევან ჟორჟოლიანმა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის თანამშრომლების დაკავების ფაქტზე განაცხადა, რომ მოხდა სამარცხვინო ფაქტი, რის გამოც პასუხისგებაში არიან მიცემული კონკრეტული პირები. განაცხადა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ სამართლებრივ სახელმწიფოში, რაზეც მოწმობს ის, რომ მიუხედავად სამუშაო ადგილისა, პოლიტიკური კუთვნილებისა თუ ნებისმიერი სხვა კვალიფიკაციისა, დანაშაულის ჩამდენი ადამიანი კანონის მთელი სიმკაცრით იქნება დასჯილი და რომ „ჩვენი ხელისუფლებაა ის ხელისუფლება, რომელიც რეაგირებს ასეთ ფაქტებზე". პარკინგების მოწყობაზე აღნიშნა, რომ ეს არის სწორი, დროული და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ საკითხისადმი ისეთი მიდგომა, როდესაც საქმის კეთებასთან ასოცირდება ერთი კონკრეტული პირი, ქონების გადაცემა საინვესტიციო

პირობებით, სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად, არის ჩუქება, ხოლო ანალოგიურ შემთხვევაში, სადაც ამ პირის სახელი და გვარი არ ფიგურირებს, მაშინ ეს შესაძლებელია, არის ორმაგი სტანდარტი და ამას საზოგადოებაც კარგად ხედავს.

დავით უთმელიძემ მიმართა ნიკოლოზ ვაჩეიშვილს, რომ მოსკოვის გამზირისთვის სახელის გადარქმევა არავის გახსენებია არც მაშინ, როდესაც თვითმმართველობის სათავეში მოვიდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლება და საქართველოს ტერიტორიები იყო ოკუპირებული, და არც 2008 წელს რუსეთ-საქართველოს შორის მომხდარი ომის შემდგომ და დაინტერესდა, რა შეიცვალა დღეს. დავით უთმელიძემ ასევე, ისაუბრა პარკინგის მოწყობის პროექტებზე და განაცხადა, რომ აღნიშნული ქალაქისთვის იმდენად საჭირო და მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლება მზად არის ნებისმიერ მსურველს გადასცეს მიწის ნაკვეთი სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად და ამის დასტურია დღეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი სამი საკითხი.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ ჩვენი გუნდი შეძლებს, რომ ერთ-ერთ ცენტრალური მოედანი იქნება „რესპუბლიკის მოედანი" ისევე, როგორც ეს არის მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში, რადგან რესპუბლიკის მოედანს სახელმწიფო აღიარებს, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუციას. რაც შეეხება პარკინგების მოწყობის პროექტებს, აღნიშნა, რომ თუ ოპოზიცია ინვესტირების მომხრეა, მაშინ მხარს უნდა უჭერდეს პუშკინის სკვერის მიმდებარედ მიწისქვეშა პარკინგის მოწყობის საკითხს, რადგან „პანორამა თბილისი" არის საქართველოში განხორციელებული ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტიცია, რომლის მიმდებარედაც განხორციელდება ავტოსადგომის მშენებლობა, თუმცა მათ არ აინტერესებთ ხელისუფლების მიერ გადადგმული სწორი ნაბიჯები.

გიორგი გაბაშვილმა განაცხადა, რომ პუშკინის სკვერის მიმდებარედ მიწისქვეშა პარკინგის მოწყობის საკითხი და დღეს საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილი მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის საკითხები აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისგან, რადგან პირველ შემთხვევაში, კომერციულად გამართულ და მომგებიან ბიზნესს, ერთ ლარად გადაეცა 38 საპარკინგე ადგილი, რომელსაც იქ არსებული სასტუმროს სტუმრები დაიკავებენ, ხოლო მეორე შემთხვევაში, საუბარია ათეულობით და ასეულობით საზოგადოებრივი სარგებლობის საპარკინგე ადგილებზე. მისი თქმით, გასაპროტესტებელია არა ყველანაირი ქონების ყველასთვის გადაცემა, არამედ ერთ ლარად ქონების გადაცემა ადამიანისთვის, რომელიც ისედაც ფლობს საქართველოში აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებას და უდიდესი გავლენა აქვს ბიზნესზე და მედიაზე. გიორგი გაბაშვილმა მიმართა საკრებულოს უმრავლესობას: „მხოლოდ ყველაზე გულუბრყვილო ადამიანებს შეიძლება ეგონოთ, რომ ხელისუფლებაში არიან მუდმივად და მეორე მხარეს გააქრობენ... ვერავინ ერთმანეთს ვერ გავაქრობთ... ყველაფერი დამოკიდებულია ხალხზე და არჩევნებზე... მომავალში თქვენც წააგებთ არჩევნებს და ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენი გაკეთებული საქმეები ვინმემ ამოშალოს ისტორიიდან" და როდესაც ვარდების მოედნისთვის სახელის ცვლილებაზეა საუბარი, აუცილებელი არ არის „ვარდების რევილუციის" შედეგად მოსული ხელისუფლება მოგწონდეს, თუმცა თავად მოვლენას, რომელიც იყო საერთო, საყოველთაო კონსენსუსის მოვლენა, ვერავინ ამოშლის ისტორიიდან. საუბრის ბოლოს, გიორგი გაბაშვილმა მოუწოდა საკრებულოს წევრებს „საქართველოს უახლესი ისტორიის მოვლენებს ერთმანეთს ნუ შევაჯიბრებთ... უნდა იყოს, პირველი რესპუბლიკის მოედანიც, მეორე რესპუბლიკის მოედანიც, ვარდების რევოლუციის მოედანიც და ყველაფრის მოედანი, სადაც ქართველმა ხალხმა გამოხატა ერთობლიობა და თავისუფლებისკენ გადადგა ნაბიჯი".

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ „ქართული ოცნების" წარმომადგენლები მაშინაც ატყუებდნენ მოსახლეობას, როდესაც ბიძინა ივანიშვილს პუშკინის სკვერის მიმდებარე ტერიტორიას გადასცემდნენ ერთ ლარად და ამბობდნენ, რომ ეს იყო თბილისელებისთვის სასარგებლო და გაკეთდებოდა საჯარო პარკინგი და ეხლაც ატყუებენ, როდესაც ამბობენ, რომ ზუსტად ამის ანალოგიური საკითხებია დღეს საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილი მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობასთან დაკავშირებით. პუშკინის

სკვერის მიმდებარე ტერიტორია ბიძინა ივანიშვილს ერთ ლარად გადაეცა საკუთრებაში და დარეგისტრირებულია მის კომპანიაზე, ხოლო დღეს წარმოდგენილი საკითხების მიხედვით მიწის ნაკვეთების გადაცემა მოხდება 26 წლის ვადით, აღნაგობის უფლებით ანუ ქონება რჩება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. რაც შეეხება ინვესტიციის განხორციელებას და პარკინგის მოწყობას, პუშკინის სკვერის მომდებარე ტერიტორიაზე, „თითი თითზე არ დადებულა მომკითხავიც არავინ ხართ - რა ხდება, რატომ არ დაიწყო მშენებლობა“ და როდესაც საუბარია იმაზე, რომ პარკინგი დღეს ქალაქში ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სწორედ დღევანდელმა ხელისუფლებამ ამოიღო თბილისის ბიუჯეტიდან მუხლი, რომელიც დედაქალაქში მრავალსართულიანი პარკინგების მშენებლობას ითვალისწინებდა.

რამინა ბერაძემ გაიხსენა, თუ რა ხდებოდა საკრებულოს დარბაზში, როდესაც განიხილებოდა თანაინვესტირების ფონდისთვის პუშკინის სკვერის მიმდებარედ მიწის ნაკვეთის გადაცემა. ისაუბრა იმაზე, თუ რა ხდებოდა საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დღევანდელ სხდომაზე, როდესაც განიხილებოდა მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის საკითხები. განაცხადა, რომ ირაკლი ნადირაძემ მოიწონა წარმოდგენილი პროექტები, მის შეკითხვას ლოკაციის რაოდენობასთან დაკავშირებით გაეცა ამომწურავი პასუხი და მიმდინარე სხდომაზე ირაკლი ნადირაძის მხრიდან იგივე საკითხზე პროტესტი, მიუღებელია.

თამარ ტალიაშვილმა განაცხადა, რომ საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაა იმაზე საუბარი, თითქოს პუშკინის სკვერის მიმდებარედ მიწისქვეშა პარკინგის მოწყობის საკითხი და დღეს საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილი მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის საკითხები ერთმანეთისგან განსხვავებდა. საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობაა ასევე, თითქოს მიმდინარეობს მე-6 საბავშვო ბაღის ძარცვა და განადგურება, რადგან აღნიშნული ბაღი ექვემდებარება დემონტაჟს და იქ არსებული ინვენტარი გადანაწილებულია იმ სივრცეში, სადაც მიმდინარეობს აღმზრდელობითი პროცესი, ხოლო საბავშვო ბაღში დარჩენილი ინვენტარი ჩამოწერილია.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები პუშკინის სკვერის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების წინააღმდეგი იყვნენ, რადგან ეს იყო ერთ ლარად ქონების გადაცემა მილიარდელისთვის და ამავდროულად, იყო გაუსხვისებელი ქონების გასხვისება. მართალია, მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობასთან დაკავშირებით დღეს წარმოდგენილი საკითხებთან დაკავშირებითაც არსებობს კითხვები, თუმცა ეს საკითხები ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავდება, რადგან ამ შემთხვევაში მიწის ნაკვეთების გადაცემა ხორციელდება 26 წლის ვადით, რომლის გასვლის შემდეგ ეს ქონება აბსოლუტურად უსასყიდლოდ დაუბრუნდება მუნიციპალიტეტს. ლილე ლიპარტელიანმა ისაუბრა ვარდების რევოლუციაზე და განაცხადა, რომ ეს არის ხალხის მონაპოვარი, როდესაც საზოგადოებამ უარი უთხრა ნეპოტიზმს, კორუფციას, ჭაობში ჩაფლულ საქართველოს და ქვეყანა დადგა სწორი განვითარების გზაზე, ხოლო დღევანდელი ხელისუფლების პირობებში „ზენიტს მიაღწია რუსულმა ნარატივმა და ჰიბრიდულმა ომმა“.

გიორგი ბირბიჩაძემ განაცხადა, რომ გასაგებია რას უთხრა ხალხმა უარი ვარდების რევოლუციის დროს, თუმცა ისიც გავიხსენოთ, თუ რას უთხრა ხალხმა უარი 2012 წელს. საინტერესოა, თუკი აყვავებული ქვეყანა გვქონდა და ყველაფერი კარგად ვითარდებოდა, რას უთხრა მაშინ ხალმა უარი და განაცხადა, რომ მისთვის 2012 წლის 1 ოქტომბერი გაცილებით დიდი თარიღია საქართველოს ისტორიაში, ვიდრე ვარდების რევოლუციის თარიღი. გიორგი ბირბიჩაძის თქმით, ფაქტებს სახელებს არქმევს ისტორია, ვარდების მოედნის სახელი მინიჭებული აქვს გლდანის რაიონში არსებულ ერთ-ერთ მოედანს და ის დარჩება, როგორც ისტორიის ნაწილი და რესპუბლიკის მოედანს დაერქმევა რესპუბლიკის მოედანი, რაც ძალიან კარგია.

ბექა დავითულიანმა განაცხადა, ფაქტია, რომ ყველანი ვთანხმდებით: მიწისქვეშა პარკინგების მშენებლობა სწორია; ის, რომ პუშკინის სკვერის მიმდებარე ტერიტორიის ერთ ლარად გადაცემა ოპოზიციისთვის პოლემურია მხოლოდ იმიტომ, რომ ამ სიკეთეს უკავშირდება ბიძინა ივანიშვილის სახელი და არა ვინმე სხვა მოქალაქის; ძალიან კარგია, რომ ოპოზიციას პრეტენზიები არ აქვს იმ კომპანიის მიმართ, ვინც გაიმარჯვებს მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოცხადებულ ტენდერში და არ აპირებენ ამ პროცედურების შეფერხებას, რადგან ეს ქალაქისთვის სასიკეთოა. ვარდების მოედნისთვის რესპუბლიკის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არავინ დავობს იმაზე, რომ ვარდების რევოლუცია ღირებულია, თუმცა შეუდარებლად დაბალი ხარისხის ფასეულობაა, ვიდრე ეს არის პირველი რესპუბლიკა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე კახაბერ გულედანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ";

მომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, გეგეჭკორის ბაღის მიმდებარედ მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ";

მომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ";

მომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, რკინიგზის სადგურის მიმდებარედ მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ";

მომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის N28-116 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო ლომინაძე

6. „ქ.თბილისში, თამარაშვილის შესახვევი N8-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების 821.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.07.008.112) და ქალაქ თბილისში,

თამარაშვილის შესახვევი N6-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: შენობა-ნაგებობა N3-ის (ფართით 30 კვ.მ.), შენობა-ნაგებობა N8-ის (ფართით 28.89 კვ.მ.), შენობა-ნაგებობა N4-ის (ფართით 69.53 კვ.მ. (მათ შორის სარდაფი 11.46 კვ.მ., I სართულზე 58.07 კვ.მ.), შენობა-ნაგებობა N5-ის (ფართით 21.01 კვ.მ.), შენობა-ნაგებობა N9-ის (ფართით 3.47 კვ.მ.) შენობა-ნაგებობა N1-ის (ფართით 2.09 კვ.მ.), შენობა-ნაგებობა N7-ის (ფართით 29.37 კვ.მ.) და შენობა-ნაგებობა N6-ის (ფართით 33.81 კვ.მ) (საკადასტრო კოდით: N01.14.07.008.012) პირდაპირი განკარგვის ფორმით გადაცემისა და შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს N323 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქ.თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, მშვიდობის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N72.12.05.046.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქ.თბილისში, ლილოს დასახლების, I მიკრორაიონის, კორპუს N2ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.009.001.01.019) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქ.თბილისში, ლილოს დასახლების, მე-2 მიკრორაიონის კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.002.003.01.025) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქ.თბილისში, ლილოს დასახლების, მე-4 კვარტლის, კორპუს N11-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.015.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, პარკი „მზიურის" ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.156) არსებული 125300 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული სავაჭრო ობიექტის - ჯიხურის პირდაპირი განკარგვის წესით გიგი ანთაძისთვის (პ/ნ.: 01017042136) სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, ლიბანის I ჩიხი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.004.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: რუსუდან მირზიკაშვილი

თანამომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

14. „ქ.თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.21.455; 81.02.21.456; 81.02.21.457; 81.02.21.461; 81.02.21.459; 81.02.21.462; 81.02.21.424; 81.02.21.460) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

15. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონი, ქუჩა იუმაშევის ქ.N13-ის (საკადასტრო კოდი: 01.19.15.002.027, ნაკვ. N02/010), აეროპორტის და (საკადასტრო კოდი: 01.19.15.001.098, ნაკვ. N01/041), კახეთის გზატკეცილი, აეროპორტის გზის (საკადასტრო კოდი: 01.19.15.001.03, ნაკვ. N01/035) მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის პროექტის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

16. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის სადგურ „ლილო"-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.15.003.089) სამეურნეო საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

17. „ქ.თბილისში, დიდი დიღმის II მიკრო/რაიონში, ი. პეტრიწისა და დ. თავდადებულის ქუჩებს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.072) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

18. „სსიპ ქალაქ თბილისის N212 საჯარო სკოლისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ";

მომხსენებელი: თამარ ტალიაშვილი

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ 2017 წელს შესრულებულ სამუშაოთა ანგარიში";

მომხსენებელი: რამინა ბერაძე

20. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კიკეთში, ალექსანდრე ცომაიას ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ალექსანდრე ცომაიას I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

21. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, დაბაკნეთის ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის დაბაკნეთის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

22. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი მუხაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის გიორგი მუხაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

23. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვის ქუჩის გაგრძელების და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის თბილისის ზღვის IV შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

24. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელას ველის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ტაბახმელას ველის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

25. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ხორნაბუჯის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ხორნაბუჯის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

26. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კორნელი სანაძის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის კორნელი სანაძის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

27. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, პიმენ ყურაშვილის ქუჩასთან არსებული სამი უსახელო ჩიხისთვის პიმენ ყურაშვილის I, II და III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

28. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის წმინდა მოწამე ვასილისკოს სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

29. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, გუმათჰესის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის გუმათჰესის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

30. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ავთო ვარაზის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

31. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თიანეთის ქუჩის გასასვლელისთვის ჯვარისუბნის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

32. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, რიკოთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ქვითკირის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

33. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მარტიანის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

34. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სოფ ნასაგურში უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

35. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ასურელი მამა იოსებ ალავერდელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

36. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ზეთისხილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სასულიერო მწერლის იოანე ზოსიმეს სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

37. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სოღანლუღის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის დადიანეთის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

38. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი გასასვლელისთვის კედარის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

39. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფ. ფონიჭალაში, ბათუმის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის ბელაქნის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

40. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, იუნკერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის იუნკერის, მაიორ არჯევან ანანიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

41. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ხიზაბავრის ქუჩის I ჩიხის გაგრძელების შესახებ“.

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე კახაბერ გულედანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძემ. მან ისაუბრა კახაბერ გულედანის წარმატებულ კარიერაზე, განათლებასა და პროფესიულ თვისებებზე და იმედი გამოთქვა, რომ მისი მოღვაწეობა სამგორის რაიონის გამგეობაში დადებითად წაადგება რაიონის განვითარებას.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, საკრებულოს წევრები იცნობენ კახაბერ გულედანის პროფესიონალიზმს და იმედი გამოთქვა, რომ მისი საქმიანობა იქნება წარმატებული.

ლილე ლიპარტელიანმა კახაბერ გულედანს წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ ის არის კომპანია „სუფთა სამყაროს“ პარტნიორი, რომელიც იმარჯვებს სახელმწიფო სტრუქტურებში, დასუფთავების კუთხით, ჩატარებული ტენდერების უმრავლესობაში და დაინტერესდა, ამის მიზეზი ხომ არ არის კახაბერ გულედანის „კავშირები“.

კახაბერ გულედანმა განაცხადა, რომ კომპანიის „სუფთა სამყარო“ წილი გადაცემული აქვს მართვაში და გარდა იმისა, რომ არის პარტნიორი, არავითარი ურთიერთობა არ აქვს. მისთვის უცნობია თუ რამდენ ტენდერში აქვს კომპანიას მიღებული მონაწილეობა, რადგან არ ერევა კომპანიის საქმიანობაში და დაახლოებით ხუთი წელია არ მიუღია დივიდენდები.

რამინა ბერაძემ განაცხადა, რომ მისასალმებელი ფაქტია ის, რომ კახაბერ გულედანს ინფრასტრუქტურის მიმართულებით მოღვაწეობის დიდი გამოცდილება აქვს, წარმატებები უსურვა მას და იმედი გამოთქვა, რომ სამგორის რაიონი იქნება ერთ-ერთი წარმატებული.

ლევან ხაბეიშვილმა მიმართა კახაბერ გულედანს „ძალიან კარგი იქნება, თუ კარგი გამგებელი იქნებით“ და წარმატებები უსურვა მას. აღნიშნა, რომ სამგორის რაიონი ერთ-ერთი ყველაზე რთული რაიონია - ცხოვრობს ათიათასობით სოციალურად დაუცველი, სერიოზული პრობლემებია საგზაო მიმართულებით მოსაწესრიგებელია ინფრასტრუქტურა, „სრული კატასტროფაა“ მოედნებთან დაკავშირებით და თავად, როგორც ამ რაიონის მაცხოვრებელი აქტიურად და დიდი ინტერესით არის ჩართული მისი განვითარების პროცესში და რაიონში არსებული პრობლემების ანალიზის და მათი მოგვარების გზების მოსასმენად დაახლოებით ათ დღეში ესტუმრება კახაბერ გულედანს გამგეობაში.

კახაბერ გულედანმა ლევან ხაბეიშვილს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ნებისმიერ დროს მზად არის მასთან შესახვედრად.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

სხდომაზე გამოცხადდა ათწუთიანი შესვენება. შესვენების შემდეგ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, გეგეჭკორის ბაღის მიმდებარედ მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძემ და ისაუბრა მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომების განვითარებაზე სამ ლოკაციაზე. გეგეჭკორის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს მინიმუმ 175 ერთეული ავტოსადგომი, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ საუბარია დაახლოებით 70 ადგილიანი პარკინგის მოწყობაზე, ხოლო რკინიგზის სადგურის მიმდებარედ მინიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 470 ერთეულით. ინტერესთა გამოხატვის ეკონომიკური მოდელი შედგენილია მინიმალურ რაოდენობებზე დაფუძნებით, ხოლო კვლევის ჩატარების შემდეგ შესაძლებელია გაიზარდოს რაოდენობა. იქიდან გამომდინარე, რომ როგორც ტექნიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს არის ერთ-ერთი რთული პროექტი, გადაწყვეტილია, რომ მუნიციპალიტეტმა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მის განხორციელებას და სწორედ ამიტომ არის ინიცირებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად, გადაცემა. მისი თქმით, ინტერესთა გამოხატვა ითვალისწინებს ორ ეტაპს: დეტალური კვლევის ჩატარება და შემდგომ ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება მშენებლობის განხორციელება. ირაკლი ხმალაძემ აღნიშნა, რომ თბილისის ტერიტორიაზე მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობა გაცხადებულია 10 ლოკაციაზე, თუმცა ამ ეტაპზე, ბაზრის კვლევის შედეგად, შეირჩა ყველაზე მნიშვნელოვანი სამი ლოკაცია, ხოლო დანარჩენი ლოკაციების შერჩევაზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა.

ლევან ხაბეიშვილი დაინტერესდა, დასაშვებია თუ არა მიწისქვეშა პარკინგთან ერთად, კომერციული ფართების მოწყობაც, რადგან თუ ეს შესაძლებელი იქნება, მაშინ გაჩნდება იმის

საშიშროება, რომ ეს ტერიტორიები მიიზიდავს ავტომობილების დამატებით ნაკადს, რაც თავისთავად გამოიწვევს იმას, რომ ავტოსადგომების რაოდენობა იქნება არასაკმარისი.

ირაკლი ხმალაძემ განმარტა, თუ კვლევა გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია მეტი სივრცის მოწყობა, ვიდრე ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობაა, პროექტების ეკონომიკური მიმზიდველობის გაზრდის მიზნით, შესაძლებელი იქნება სივრცის კომერციულად განვითარება, თუმცა ეს ინტერესთა გამოხატვის პირობებით არ არის გათვალისწინებული. რაც შეეხება იმას, რომ კომერციული ფართები მიიზიდავს ავტომობილების დამატებით ნაკადს და ავტოსადგომების რაოდენობა აღარ იქნება საკმარისი, არასწორი მოსაზრებაა, რადგან წარმოდგენილ ლოკაციებზე ბევრად მეტი ავტოსადგომის რაოდენობაა საჭირო, თუმცა ეს ტექნიკურად არ არის შესაძლებელი. იქიდან გამომდინარე, რომ განსახორციელებელია საკმაოდ რთული ტექნიკურ-ეკონომიკური პროექტი და კვლევამ შეიძლება აჩვენოს, რომ პარკირების მოდელმა შესაძლოა დამოუკიდებლად ვერ იარსებოს, მუნიციპალიტეტმა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ იმსჯელოს პარალელური ბიზნესის არსებობაზე და არავითარ შემთხვევაში, წინასწარ თანხმობაზე ან ამის გამორიცხვაზე.

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ განსაზღვრული რაოდენობაც არ არის საკმარისი, კომერციული ფართების გაჩენით კიდევ უფრო არასაკმარისი იქნება ავტოსადგომების რაოდენობა.

ირაკლი ხმალაძე დაეთანხმა ლევან ხაბეიშვილის გამოთქმულ მოსაზრებას, თუმცა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პირობები ამ საფრთხის მოლოდინს არ აჩენს, რადგან თუ კვლევის შედეგად შესაძლებელი იქნება განსაზღვრულ მინიმალურ რაოდენობაზე მეტი ავტოსადგომის მოწყობა, პრიორიტეტია საპარკინგე ადგილების მოწყობა.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ირაკლი თავართქილაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დაადასტურა, რომ მიწისქვეშა ავტოსადგომების სამივე ლოკაციაზე დაგეგმილია ტერიტორიის 1/3-ზე კომერციული ფართის განთავსება. დაინტერესდა, თუ კვლევის შედეგად აღმოჩნდება, რომ რომელიმე ლოკაციაზე არარენტაბელურია ავტოსადგომის განთავსება, ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერია აუნაზღაურებს თუ არა კომპანიას კვლევაში გადახდილ თანხას და ასევე, ხომ არ არსებობს იმის რისკი, რომ რადგან კომპანიას კვლევების ჩატარებაში დახარჯული ექნება თანხა, მაინც განახორციელოს პარკინგის მშენებლობა.

ირაკლი თავართქილაძე გამოეხმაურა ლილე ლიპარტელიანის განცხადებას და აღნიშნა, რომ მას არ დაუდასტურებია, რომ მიწისქვეშა ავტოსადგომების სამივე ლოკაციაზე დაგეგმილია ტერიტორიის 1/3-ზე კომერციული ფართის განთავსება.

ირაკლი ხმალაძემ განმარტა, რომ კვლევის პერიოდში გაწეულ ხარჯებზე პასუხისმგებლობას მთლიანად იხსნის მუნიციპალიტეტი, რადგან ეს არის ბიზნესის კომერციული რისკი მისთვის, ვინც მონაწილეობს ამ პროცესში, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ კვლევის შედეგად გამოვლინდება, რომ პროექტები არ არის განხორციელებადი, კომპანიის მიერ დახარჯული თანხის ანაზღაურება მერიას არ დაეკისრება. თუ კვლევამ აჩვენა, რომ პროექტების განხორციელება არ არის შესაძლებელი ან არც თუ ისე მიმზიდველი პარამეტრები აქვს, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოც და ადგილობრივი თვითმმართველობაც იმსჯელებს იმაზე, თუ რამდენად გონივრული იქნება კიდევ დამატებითი ხელშეწყობა და სტიმულის მიცემა, რადგან საუბარია არა ბიზნეს-პროექტზე საზოგადოებრივი და სატრანსპორტო მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის მოწყობაზე. რაც შეეხება ინფორმაციას, თითქოს მიწისქვეშა ავტოსადგომების სამივე ლოკაციაზე დაგეგმილია ტერიტორიის 1/3-ზე კომერციული ფართის განთავსება, განაცხადა, რომ ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტში მსგავსი ჩანაწერი არ არსებობს.

დავით უთმელიძემ განაცხადა, რომ ეს არის ფაქტობრივად პირველი პროექტი, რომლის პირობებიც მორგებულია იმაზე, რომ ინვესტორსაც და მუნიციპალიტეტსაც შეეძლოს ლავირება, განხორციელდეს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პროექტი.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ წარმოდგენილია კონკრეტული ლოკაციები, სადაც, კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, უნდა განხორციელდეს კერძო სექტორის ინვესტიცია.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხები საზოგადოებისთვის და დედაქალაქისთვის მეტად მნიშვნელოვანია და ამ პროექტების რეალიზებისთვის საკრებულოს მომავალშიც მართებს აქტიური მუშაობა და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

